ქ. თბილისი

2021 წ.

# სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში არსებული მცირე დარბაზის უსაფრთხოდ მუშაობის გეგმა

## სარჩევი


შესავალი ..... 2

I. ბილეთების გაყიდვის პროცედურა ..... 3

II. შენობაში შესვლის პროცედურა ..... 3

III. დარბაზში შესვლის პროცედურა ..... 4

IV. ღონისძიების/ კონცერტის გამართვა ..... 5

V. დარბაზის დალაგება ..... 5

VI. სანიტარული კვანძების დალაგება/დეზინფექცია ..... 6

VII. დამატებითი მოთხოვნები გამოფენა-გაყიდვებისთვის ..... 7

VIII. პერსონალის ვალდებულებები ..... 8

IX. მცირე დარბაზის უსაფრთხოდ მუშაობა ..... 9

IX[I] მცირე დარბაზში ვიზიტორთა განთავსება ..... 9

IX[II] კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მიმართ მცირე დარბაზში ..... 10

IX[III] მცირე დარბაზის საარტისტო ..... 10

X. მცირე დარბაზის დეზინფიცირებისათვის გასატარებელი ღონისძიებები ..... 10

## შესავალი

დაწესებულებაში ღონისძიების/კონცერტის გამართვისას, გათვალისწინებულ იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეკომენდაციები („ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სამუზეუმო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის"; ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის"; ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლაბორატორიებისა და საგამოცდო ცენტრებისთვის"; ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის;). ჩამოთვლილი რეკომენდაციების კომბინირების შედეგად დაწესებულებებში, გარდა იმ ზომებისა, რომლებიც უკვე მიღებულ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარბაზების უსაფრთხოდ მუშაობის მიზნით დამატებით განხორციელდება ქვემოჩამოთვლილი სხვა ღონისძიებები.

## I. ბილეთების გაყიდვის პროცედურა

1.1.ბილეთების გაყიდვისას უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულ სისტემით ბილეთების გაყიდვას;

1.2.ბილეთის სალაროში გაყიდვისას, უპირტესობა მიენიჭება უნაღდო ანგარიშწორებას;

1.3.ბილეთის ნაღდი ანგარიშსწორებისას, უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, მოლარე აღიჭურვება ერთჯერადი ხელთათმანით, პირბადითა და ხელის სადეზინფექციო ხსნარით;

1.4.ბილეთების გაყიდვა განხორციელდება დიდი დარბაზის სივრცეში არსებული სალაროს მეშვეობით

1.5.მოლარესა და ვიზიტორს შორის პირდაპირი კონტაქტის აცილების მიზნით, ბილეთების გაყიდვა წარმოებს მხოლოდ სალაროს კაბინაში, რომელიც გამიჯნულია ორგმინით.

1.6.ბილეთების სალაროში გაყიდვისას დაცულ იქნება უსაფრთხო დისტანცია. განთავსებულ იქნება დისტანციის დაცვის მაფრთხილებელი სტიკერები.

1.7.სალაროსთან განთავსდება ხელის სადეზინფექციო საშუალებები.

1.8.სალაროს კაბინაში დასაშვებია მხოლოდ ერთი ადამიანის ყოფნა.

1.9.სალაროს კაბინის კარები და სალაროდან გამავალი სივრცის ფანჯრები სალაროს მუშაობის პროცესში უნდა იყოს ღია და ნიავდებოდეს.

## II. შენობაში შესვლის პროცედურა

2.1.ერთიან შესასვლელთან განახორციელდება თერმოსკრინინგი ვიდეოსკრინინგის ან დისტანციური მზომი ხელსაწყოს გამოყენებით, რათა გააკონტროლდეს როგორც თანამშრომელთა, ასევე ვიზიტორთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში ვიზიტორი, დასაქმებული არ დაიშვება შენობაში არ დაიშვება პირი პირბადის გარეშე.

2.2.შენობაში შესვლა ხორციელდება წინასწარ დაგეგმილ დროს თერმოსკრინინგის გავლის შემდგომ.

2.3.შენობაში შესვლისას ნაკადურობის უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.

2.4.შენობაში შესვლამდე უზრუნველყოფილ იქნება უსაფრთხო დისტანციები შესაბამისი მანიშნებელი ნიშნებით.

2.5.შენობის შესასვლელში განთავსდება covid-19 -ის საინფორმაციო პოსტერები.

2.6.უზრუნველყოფილ იქნება ყოველ 5მ$^2$ფართობზე მხოლოდ 1 ვიზიტორის დაშვება;

2.7.უზრუნველყოფილ უნდა იქნას შენობაში მხოლოდ იმ თანამშრომლების დაშვება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ღონისძიებაში, ან მათი ყოფნა აუცილებელია ღონისძიების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

2.8.მცირე დარბაზის საგარდერობე სივრცეში შესვლისას, დაცულ უნდა იქნას უსაფრთხო დისტანციები, როგორც გარდერობში მომუშავე პირებს, ასევე ვიზიტორსა და გარდერობში განთავსებულ ტანსაცმელს შორის. განთავსდება დისტანციის მანიშნებელი სტიკერები.

2.9.საგარდერობე სივრცეში ვიზიტორსა და დასაქმებულ პირს შორის პირდაპირი კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით, განთავსდება მინის ბარიერები.

2.10.საგარდერობე სივრცეში ტანსაცმლის განთავსება განხორცელდება საკიდებზე იმგვარად, რომ სხვადასხვა ადამიანის ტანსაცმლის/ჩანთას არ ჰქონდეს არანაირი შეხება ერთმანეთთან.

2.11.საგარდერობეში არსებული საკიდების/გასაღების დეზინფიცირება ხორციელდება ყოველი გამოყენების შემდგომ.

2.12.საგარდერობე სივრცის განიავების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება დერეფნის სისტემური განიავება ბუნებრივი გზით.

**2.13. ვიზიტორებს მიეცემათ რეკომენდაცია საგარდერობე სივრცის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.**

## III. დარბაზში შესვლის პროცედურა

3.1.დარბაზში შემსვლელ პირთა ნაკადის უსაფრთხოდ მართვას უზრუნველყოფს შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

3.2.ვიზიტორები განთავსდებიან მათთვის წინასწარ ბილეთით განსაზღვრულ ადგილას. უსაფრთხო მანძლის დაცვის აუცილებლობა არ არის საჭირო 12 წლამდე ბავშვის განთავსებისას.

3.3.დარბაზში პირბადის ტარებასა და დისტანციების დაცვაზე ზედამხედველობას განახორციელებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.

3.4.დარბაზის შესასვლელთან განთავსდება უსაფრთხო დისტანციის მანიშნებელი ნიშნები.

## IV. ღონისძიების/ კონცერტის გამართვა

4.1.ღონისძიების სრული ხანგრძლივობა განსაზღვრება იმგვარად, რომ არ აღემატებოდეს 3 საათს, რომელიც მოიცავს სტუმრის შენობაში შემოსვლისა და შენობის დატოვების დროს;

4.2.ღონისძიება უნდა გაიმართოს ერთ მოქმედებად, ანტრაქტის გარეშე;

4.3.კრძალულია სტუმართათვის ისეთი სერვისების (კვების ობიექტის, ფურშეტის) შეთავაზება, რაც უშუალოდ არ უკავშირდება ღონისძიების მიმდინარეობას.

4.4.ღონისძიების დასრულების შემდგომ, მოუწოდეთ ვიზიტორებს დაიცვან დისტანცია, ნუ შეყოვნდებიან ერთ ადგილას და 3სთიანი დროის რეჟიმის გათვალისწინებით დროულად დატოვონ ტერიტორია.

## V. დარბაზის დალაგება

5.1.დახურული სივრცის დალაგება განახორციელეთ თითოეული რეპეტიციის/წარმოდგენის/კონცერტის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ;

5.2.ვიზიტორების მიერ შენობის დატოვების შემდგომ, შეძლებისდაგვარად უზრუნველყავით ყველა იმ ტერიტორიის განიავება, სადაც გარკვეული დრო დაჰყვეს ვიზიტორებმა (მათ შორის ფოიე).

5.3.რეპეტიციის/წარმოდგენის/კონცერტის დაწყების წინ დაასუფთავეთ და დეზინფექცია ჩაატარეთ სველი წესით (მაგ. 0,5 %-იანი ქლორის შემცველი სადეზინფექციო ხსნარით);

5.4.დასუფთავება მოახდინეთ შედარებით სუფთა სივრცეებიდან (მაგ. აუდიტორია) უფრო დაბინძურებული სივრცეების (სანიტარიული კვანძი) მიმართულებით;

5.5.იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ქლორშემცველი ხსნარების ზემოქმედების შედეგად, შესაძლებელია 60-70%-ანი ალკოჰოლის შემცველი ან სხვა შესაბამისი დანიშნულების პრეპარატის გამოყენება;

5.6.საყოფაცხოვრებო ქიმიის, ასევე სადეზინფექციო საშუალებების ნებისმიერი პროდუქტის გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს მწარმოებლის ინსტრუქცია და უსაფრთხოების რეკომენდაციები;

5.6.დასუფთავება-დალაგების პროცედურები განახორციელეთ „ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01- 123/ო ბრძანების შესაბამისი დანართით.

***<u>აკრძალულია:</u>***

5.7.დასუფთავების მშრალი მეთოდების (მშრალი ცოცხითა და ჩვრებით) გამოყენება, რადგან ასეთ დროს შესაძლებელია მტვრისა და პათოგენური ბიოლოგიური აგენტების მოხვედრა ჰაერსა და სამუშაო გარემოს ზედაპირებზე.

## VI. სანიტარული კვანძების დალაგება/დეზინფექცია

6.1.დარბაზთან არსებული სანიტარიული კვანძების დალაგება, ინფექციის გადაცემის რისკების შემცირების მიზნით, უნდა განხორციელდეს დაბინძურებისთანავე, მაგრამ აუცილებელი წესით ყოველი რეპეტიციის/წარმოდგენის/კონცერტის წინ და დასრულების შემდეგ;

6.2.საპირფარეშოს დალაგება ხორციელდება სველი წესით და სარეცხი საშუალებებით, წმენდის შემდგომი დეზინფექციით, სათანადო წესით;

6.3.დამლაგებლის ეკიპირებისთვის აუცილებელია:

- ნიღაბი;
- ერთჯერადი ხალათი;
- სპეციალური/სქელი ხელთათმანები (მრავალჯერადი);
- თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი).

6.4.შენობაში განთავსდება დახურული სატერფულიანი კონტეინერი ჰიგიენური ნარჩენებისათვის შესაბამისი მანიშნებელი ნიშნით. კონტეინერში ჩაფენილ უნდა იქნას პოლიეთილენის პარკი. დახურული კონტეინერის დასუფთავება განხორციელდება შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვილი დამლაგებლების მიერ.

## VII. დამატებითი მოთხოვნები გამოფენა-გაყიდვებისთვის

7.1.ღონისძიების ფორმატი თუ ითვალისწინებს გამოფენა-გაყიდვის კომპონენტს, ექსპოზიციის მოწყობისას თითოეული ჩართული პირი აღჭურვეთ ნიღბით, ხელთათმანებითა და დამცავი ფარით;

7.2.გამოფენის ტიპის ღონისძიებებზე ექსპონატების წინ განათავსეთ გამჭვირვალე დამცავი ბარიერი;

7.3.თითოეულ ექსპონატთან ან/და დახლთან უზრუნველყავით დამსწრეთა ნაკადის კონტროლი, ექსპონატებთან/დახლებთან მონიშნეთ უსაფრთხო დისტანცია;

7.4.გამოფენა-გაყიდვისთვის გამოყოფილი ვიტრინები, მაგიდები და უშუალოდ ის ექსპონატები, რომელსაც პოტენციურად შეიძლება შეეხოს მნახველი/მყიდველი აუცილებელია დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველ 2 საათში ერთხელ. ისეთი ექსპონატები, რომელთა მასალაც არ ექვემდებარება დეზინფექციას, უნდა იყოს შეფუთული ერთჯერად პარკში ან და განთავსებული შემინულ ვიტრინაში.

7.5.დაუშვებელია ფურშეტის/შვედური მაგიდის და კვებასთან დაკავშირებული სხვა სერვისების გამოყენება.

## VIII. პერსონალის ვალდებულებები

8.1.ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

8.2.დაიცვათ ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;

8.3.სამუშაო პროცესი განახორციელეთ დამსაქმებლის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად;

8.4.მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);

8.5.მოერიდეთ თავშეყრას, რეკომენდირებულია ერთ სამუშაო პლატფორმაზე, დახურულ სივრცეში, არაუმეტეს 10 (ათი) ადამიანის მუშაობა უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);

8.6.სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;

8.7.სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;

8.8.საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალეთ ერთჯერადი საშუალებებით;

8.9.გამოიყენეთ 60%-70% სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას;

8.10.დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან მოხრილი იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;

8.11.მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება;

8.12.გახსოვდეთ, რომ არ არის სასურველი ლითონის საყურეების, ბეჭდების და თმის ჟელეს გამოყენება;

8.13.თუ საქმიანობა ითვალისწინებს ფულის ნიშნებთან და პროდუქციასთან ურთიერთობას, აუცილებლად გამოიყენეთ სხვადასხვა ხელთათმანი;

## IX. მცირე დარბაზის უსაფრთხოდ მუშაობა

მცირე დარბაზის უსაფრთხოდ მუშაობის მიზნით, გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები.

ამას გარდა, მცირე დარბაზის უსაფრთხოდ მუშაობა დასაშვებია შემდეგი დამატებითი რეგულაციებით:

## IX[I] მცირე დარბაზში ვიზიტორთა განთავსება

ვიზიტორთა განთავსება უზრუნველყოფილ იქნება ერთი რიგისა და ერთი სკამის გამოტოვებით ჭადრაკულად.

9.1.1. ვიზიტორები არ განთავსდებიან პირველ, მეორე და მესამე რიგში.

9.1.2. მცირე დარბაზის ფართობის გათვალისწინებით, **დაუშვებელია 53-ზე მეტი ვიზიტორის დაშვება/ბილეთის გაყიდვა.**

9.1.3.ჩახერგეთ გაუქმებული რიგები და ადგილები. განათავსეთ ამკრძალავი ნიშნები.

9.1.4. უზრუნველყავით ვიზიტორთა დარბაზში დაშვების დაგეგმვა იმგვარად, რომ არ მოხდეს ვიზიტორების დარბაზში დიდი ხნით დაყოვნება.

9.1.5. გამოყავით პასუხისმგებელი პირი, რომელიც მოუწოდებს ვიზიტორებს დროულად განთავსდნენ.

9.1.6. **ადგილების ჯამური რაოდენობა: 40 ადგილი (ვირუსის გავრცელების რისკის შესამცირებლად).**

## IX^II^ კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მიმართ მცირე დარბაზში

9.2.1.სტუმრების შენობაში დაშვებამდე უზრუნველყავით შენობის ბუნებრივი ვენტილირება არანაკლებ 30 წთ-ის განმავლობაში. გააღეთ მხოლოდ  დერეფანში არსებული ყველა ფანჯარა/ კარები. უზრუნველყავით მცირე დარბაზის როგორც ხელოვნური ვენტილირება ასევე ირიბი ბუნებრივი ვენტილირება შენობის კარების ან/და ფანჯრების გაღების გზით.

9.2.2.დაუშვებელია მცირე დარბაზის მეორე სართულზე გამავალი დარაბების გაღება ირიბი ბუნებრივი ვენტილირების გზით.

9.2.3.დერეფანში არსებული ფანჯრების დაკეტვა შესაძლებელია ვიზიტორების მიერ შენობის სრულად დატოვებისა და დალაგების დასრულებიდან უწყვეტად 3 სთ პერიოდის გასვლის შემოდგომ.

9.2.4.მცირე დარბაზის უსაფრთხოდ მუშაობა შესაძლებელია, მხოლოდ და მხოლოდ ორმაგი ცირკულაციის მქონე ხელოვნური ვენტილირების საშუალებით, რაც გულისხმობს გარედან ჰაერის შემოტანასა და მის გატანას.

9.2.5.ხელოვნური ვენტილაციის მუშაობის შემთხვევაში, გადართეთ ვენტილაცია ნომინალურ სიჩქარეზე რეპეტიციის/წარმოდგენის/კონცერტის დაწყებამდე 2 საათით ადრე და სიჩქარე შეამცირეთ მინიმალურამდე ღონისძიების დამთავრებიდან 2 საათის შემდეგ;

9.2.6.ღონისძიების/კონცერტის დასრულების შემოდგომ,  არ გამორთოთ ვენტილაცია და ამუშავეთ  ყველაზე მინიმალური სიჩქარით უწყვეტად 6 სთ-ის გამავლობაში.

9.2.7.სავენტილაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე დააწესეთ საინჟინრო კონტროლი, ასევე, ვენტილაციის ფილტრების ყოველთვიური მონიტორინგი და დაბინძურების შესაბამისად (მაგრამ არანაკლებ 4 (ოთხ) თვეში ერთხელ) მათი რეცხვა/გასუფთავება/გამოცვლა (საჭიროების მიხედვით).

## IX^III^ მცირე დარბაზის საარტისტო

9.3.1.მცირე დარბაზის საარტისტოში აკრძალულია ვიზიტორების მიღება. **მცირე დარბაზში დაუშვებელია არტისტის გარდა სხვა თანმხლები პირის დაშვება.**

9.3.2.საარტისტოში არსტისტის შესვლამდე უზრუნველყავით სივრცის დეზინფიცირება და სივრცის ირიბი განიავება არანაკლებ 30 წთ-იანი შუალედისა.

9.3.3.საარტისტო აღჭურვეთ ხელის სადეზინფექციო ხსნარითა და ადამიანთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობის ამკრძალავი ნიშნით.

9.3.4.არტისტის მიერ საარტისტოს დატოვების შემდგომ უზრუნველყავით საარტისტოს სველი წესით დასუფთავება, დეზინფიცირება და განიავება.

9.3.5.უზრუნველყავით საარტისტოს განიავება არანაკლებ 30-წთიანი შუალედით დალაგების დასრულების შემდგომ.

## X მცირე დარბაზის დეზინფიცირებისათვის გასატარებელი ღონისძიებები

დეზინფიცირებისათვის გამოიყენეთ „ახალი კორონავირუსით ( S A R S - C o V- 2 ) გამოწვეული ინფექციის ( C O V I D - 1 9 ) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 123/ო ბრძანებით გათვალისწინებული შემდეგი შემადგენლობის მქონე ხსნარები:

| **ანტიმიკრობული აგენტი** | **კონცენტრაცია** | **Coronaviruses tested** |
|---|---|---|
| ეთანოლი | 70% | HCoV-229E, MHV-2, MHV-N, CCV, TGEV |
| ნატრიუმის ჰიპოქლორიტი | 0.1-0.5%<br>0.05-0.1% | HCoV-229E<br>SARS-CoV |
| პოვიდონ-იოდი | 10% (1% იოდი) | HCoV-229E |
| გლუტარალდეჰიდი | 2% | HCoV-229E |
| იზოპროპანოლი | 50% | MHV-2, MHV-N, CCV |
| ბენზალკონიუმის ქლორიდი | 0.05% | MHV-2, MHV-N, CCV |
| ნატრიუმის ქლორიტი | 0.23% | MHV-2, MHV-N, CCV |
| ფორმალდეჰიდი | 0.7% | MHV-2, MHV-N, CCV |